ლანა აკოფოვი

კავკასიის არქიტექტურისა და დიზაინის სკოლა

,,2022 წელს ჩავირიცხე კავკასიის უნივერსიტეტში არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამაზე, რამაც ჩემს ცხოვრებაში დაუვიწყარ მოგონებებს ჩაუსახა საფუძველი. პირველი კურსის მეორე სემესტრში გავიგე, რომ Erasmus+ მობილობის პროგრამის ფარგლებში, შემეძლო შემოდგომის სემესტრში წავსულიყავი ვარშავაში, ეკოლოგიისა და მენეჯმენტის უნივერსიტეტში (Warsaw University of Ecology and Management, Poland).

აპლიკაციის დადასტურებისას ძალიან გახარებული ვიყავი, დავიწყე პოლონეთის ისტორიისა და კულტურაზე ინფორმაციის ძიება, ვათვალიერებდი კამპუსს. ჩასვლისთანავე ვიგრძენი თუ როგორ თბილ და კეთილ გარემოში აღმოვჩნდი, სიმართლე გითხრათ, გამგზავრებამდე ცოტა ვნერვიულობდი. ჩემთვის აღმოსავლეთ ევროპა და მისი კულტურა ძალიან ახლო და საინტერესო აღმოჩნდა.

რაც შეეხება უშუალოდ პროგრამის ფარგლებში გატარებულ ნახევარ წელიწადს, ამ დიდმა გამოცდილებამ მასწავლა დამოუკიდებელი ცხოვრება და განსხვავებული ეთნოსის, კულტურისა და ენის მქონე ადამიანებთან ურთიერთობა. შესაბამისად, განვიცადე უზარმაზარი პიროვნული ზრდა. სწავლის პროცესში შევისწავლე ახალი განსხვავებული მეთოდები, რამაც შესაძლებლობა მომცა, განმევითარებინა ხედვა, ხელით მუშაობა და განმეღრმავებინა ცოდნა არქიტექტურაში.

განსაკუთრებული წვლილი კი ამ ყოველივეში კავკასიის უნივერსიტეტმა შეიტანა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი როგორც მას, ასევე ვარშავას ეკოლოგიისა და მენეჯმენტის უნივერსიტეტს, ამ პერიოდის განმავლობაში ყველანაირი მხარდაჭერისთვის.''